საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia

MOH 8 23 00682449 30/06/2023

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განხილულ იქნა თქვენი წერილი (N4517/3-53/23; 12/06/2023), რომელიც ეხება, ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

წარმოგიდგენთ მოთხოვნილ ინფორმაციას:

1.2017-2022 წლებში ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ) საწინააღმდეგო ვაქცინით აცრილი 10-11-12 წლის გოგონათა რაოდენობა და მოცვის მაჩვენებელს გიგზავნით დანართი N1-ის სახით;

2.2021-2022 წელს საქართველომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეისყიდა 70 000 დოზა ვაქცინა, რაზეც გახარჯულია 1 036 004,00 ლარი;

3.მიმდინარე წლის 19 ივნისის მონაცემებით, ქვეყანაში სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საწყობში, ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მარაგია 32 598 დოზა. აქედან, 12 598 დოზა ვაქცინის ვარგისიანობის ვადაა - 28.09.2023, ხოლო 20 000 დოზა ვაქცინის - 02.03.2025.

4.სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2024 წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პროცესში მიმდინარეობს 9 ვალენტიანი აპვ-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვის საკითხის განხილვა.

5.ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი (CDC) რეკომენდაციას უწევს 27 წლამდე ყველა იმ პირის ვაქცინაციას, ვისაც ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა არ აქვს გაკეთებული. შესაბამისად, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აპვ ვაქცინის დანერგვის მიზანია, იმ ახალგაზრდა ქალების დაცვა, ვისაც შესაბამის ასაკობრივ

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

კატეგორიაში არ ჰქონია ვაქცინაციის ჩატარების საშუალება.

6.ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია 27-45 წლის ასაკის პირებშიც. აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში, CDC-ის რეკომენდაციით, ვაქცინაცია ტარდება ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე. ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში, ექიმის რეკომენდაციის მიხედვით, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი თანახმაა უზრუნველყოს განმცხადებლის მოთხოვნა, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარების შესახებ. ამ ეტაპზე აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში აპვ ვაქცინის საყოველთაო დანერგვა დაგეგმილი არ არის.

7.HPV ვაქცინაციის კამპანიების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართის სახით (დანართი N1.).

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის პირველი მოადგილე
თამარ გაბუნია